


საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი • გამოდის 1931 წლის 10 სექტემბრიდან • №21 • ნოემბერი, 2017 წელი • ფასი 80 თეთრი

## „ეს ოთხწლიანი პერიოდი უნდა იყოს კარგი შრომის მაგალითი..." - თემურ ჩუბინიძე



**21 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებში პოლიტიკური გაერთიანების, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მერობის კანდიდატს, თემურ ჩუბინიძეს, ტყიბულის ამომრჩევლის 61%-მა მიანიჭა ნდობის მანდატი და 6554 ხმით ის არჩეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერად. 13 ნოემბრიდან კი იგი ამ რანგში უფლებამოსილებას შეუდგა. ახლადარჩეულმა მერმა მადლობა გადაუხადა ამომრჩეველს მხარდაჭერისათვის და ჩვენს დასმულ რამდენიმე კითხვას უპასუხა.**

**– ბ-ნო თემურ, რა განცდა გეუფლებათ, როცა ამომრჩეველი ასეთ ნდობას გიცხადებთ?**

– როცა გრძნობ, რომ საკუთარ ხალხს უყვარხარ, ეს უფრო მეტ პასუხისმგებლობას განიჭებს, კიდევ უფრო მეტად გრძნობ ვალდებულებას მის წინაშე, ვინც ლეგიტიმაცია მოგცა. ჩემს ოკრიბელებს მინდა, მადლობა გადავუხადო ამ მხარდაჭერისა და ნდობისათვის. მე ვეცდები, რომ მათი იმედები გავამართლო და მაქსიმალურს გავაკეთებ, რათა მოსახლეობის მოთხოვნები დავაკმაყოფილო.

**– როგორი გეგმით მოხვედით?**

– წინასაარჩევნოდ 140 შეხვედრა ჩავატარე და აქცენტს ყოველთვის პრიორიტეტებზე ვამახვილებდი. მოგეხსენებათ, რომ „საქნახშირის" არსებობაზეა აგებული ტყიბულის ინფრასტრუქტურა. იგი ერთ-ერთი სანიმუშო ქალაქი იყო დაარსების დღიდან. სხვადასხვა ფაქტორების გამო მოხდა ინტელიგენციის, კვალიფიციური კადრების გადინება და დღეისათვის განახევრებულია ჩვენი მოსახლეობა. მე შევხვდი „საქნახშირის" ხელმძღვანელობას და გამოიკვეთა, რომ „ჯი-აი-ჯი ჯგუფს" იმედისმომცემი პერსპექტივები აქვს და ფაქტიურად კონკრეტული, პრაქტიკული ნაბიჯებია ამ კუთხით გადადგმული. ამ კომპანიის განვითარება ტყიბულისათვის სიცოცხლისუნარიანობის დაბრუნებას ნიშნავს და ეს სტიმულია ყველასათვის.

სამწუხაროდ, ჩვენი მუნიციპალიტეტის რიგ სოფლებში სასმელი წყლის სერიოზული პრობლემა არსებობს. ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვაგვაროთ. შეიძლება, გადავდოთ სპორტული მოედნის, სკვერის მშენებლობა, რომელიც, მოითმენს, მაგრამ უწყლობა ეს სამარცხვინო ფაქტია. ამიტომ, იგი დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს. ასევე, აქცენტებს გავაკეთებთ გზებზე, სადაც კატასტროფული მდგომარეობაა. წყალი, გზა, ენერგომომარაგება და გაზიფიცირება – პირველ რიგში გასაკეთებელი საქმეებია. პარალელურად ჩვენ გამოვძებნით საშუალებებს, კეთილმოწყობითი სამუშაოებისათვისაც. ეს ოთხწლიანი პერიოდი კი უნდა ჰგავდეს კარგი შრომის მაგალითს.

**– არსებობს გამოთქმა: „კადრები წყვეტს ყველა პრობლემას"... აპირებთ თუ არა საკადრო პოლიტიკის გატარებას?**

– რაც შეეხება კადრებს, რა თქმა უნდა, აქ გვექნება სიახლეები, მაგრამ დარჩებიან ძველებიც. მაქსიმალურად ვეცდებით, თუკი იქნება შესაძლებლობა, ახალგაზრდა კადრები წამოვწიოთ წინ, რათა გავზარდოთ ისინი გამოცდილების თვალსაზრისით და გარკვეული დროის შემდეგ ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობაც ჩავაბაროთ მათ.

***ესაუბრა***
***ნანა რაზმაძე***

## არჩევნების შედეგებით მმართველ გუნდს მოსახლეობამ ნდობა გამოუცხადა




**№57** ტყიბულის საოლქო საარჩევნო კომისიის საბოლოო მონაცემებით, 37 უბნის მიხედვით, გამარჯვება, ხმების 60, 74 %-ით (6554 ხმა), „ქართული ოცნების" მერობის კანდიდატმა, **თემურ ჩუბინიძემ** მოიპოვა. **ლევან დოხნაძემ** – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" – 24,66% (2661 ხმა), **რუსლან ჯულაყიძემ** – „ბაქრაძე, უგულავა – ევროპული საქართველოდან" – 10,13% (1093 ხმა), **გოდერძი ცნობილაძემ** კი, – „დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან" – 4, 48% (483 ხმა) – მიიღეს.

პროპორციული წესის შედეგით, 9 საარჩევნო სუბიექტს შორის, 49,67%-ითა და 5360 ხმით **„ქართული ოცნება"** ლიდერობს. საკრებულოში მოსახვედრად 4%-იანი ზღვარი ასევე, **„ერთიანი ნაციონალურმა მოძრაობამ"** 23,67%-ითა და 2554 ხმით, **„ბაქრაძე, უგულავა – ევროპულმა საქართველომ"** 12%-ითა და 1256 ხმით, **„დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა"** 6,42%-ითა და 693 ხმით, ხოლო **„დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალმა საქართველომ"** 4, 74%-ითა და 512 ხმით გადალახეს.

ქალაქის, თემებისა და სოფლების 12 მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატიდან გამარჯვებული სამთავრობო გუნდის წარმომადგენლები არიან, გარდა ორპირის თემისა, სადაც ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა, **გოჩა სირბილაძემ,** ქართული ოცნების წარმომადგენელს, **მურმან ბასილაძეს**, 7 ხმის სხვაობით, გაუსწრო და საკრებულოს მანდატი მიიღო.

***მარი ბაბუხადია***

## გიორგი ლომთაძე მერის I მოადგილედ დაინიშნა



ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის, **თემურ ჩუბინიძის, №47/1785** ბრძანების საფუძველზე, 2017 წლის 14 ნოემბრიდან, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის I მოადგილედ **გიორგი ლომთაძე** დაინიშნა. იგი დაიბადა 1990 წლის 18 აგვისტოს, ქ. ტყიბულში, 2012 წელს დაამთავრა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, მენეჯმენტის სპეციალობით.

2010-12 წლებში მუშაობდა შ.პ.ს „გუდაური პალასში" ლოჯისტიკის მენეჯერად, 2014-15 წლებში კი – ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონებისა და აღრიცხვის განყოფილების უფროსად. 2015-17 წლებში ეკავა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის თანამდებობა.

## საკრებულომ შემაჯამებელი სხდომა გამართა

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულომ, თავისი უფლებამოსილების ვადაში, ბოლო სხდომა გამართა, რომელსაც ამ ორგანოს ხელმძღვანელი, **თამაზ კუბლაშვილი,** უძღვებოდა.

შეხვედრას ახლადარჩეული მერი, **თემურ ჩუბინიძე** და დეპუტატები ესწრებოდნენ. დღის წესრიგით ოთხი საკითხი იქნა განხილული. მათ შორის, 2017 წლის პროგრამულ ბიუჯეტში ცვლილებები და მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიში, რომლებიც სხდომის წევრებს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **ვახტანგ გვენეტაძემ,** გააცნო. გაიზარდა რამდენიმე ა.(ა)ი.პ.-ის სუბსიდირება ასევე, ინდივიდუალური დახმარების, სტიქიითა და ხანძრით დაზარალებულთა დახმარების პროგრამები და გამგეობის დაფინანსება სხვადასხვა ტიპის ხარჯებისათვის.

ასევე, შეხვედრაზე წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში საშემოდგომო სამუშაოების ჩატარების თაობაზე, რომელიც ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილების



უფროსმა – **თენგიზ თევზაძემ** წარმოადგინა. წელს გვალვიანი ზაფხულის გამო სამჯერ შემცირდა ცალკეული კულტურების მოსავალი, რის გამოც სოფლის მოსახლეობის სარჩომ მნიშვნელოვნად იკლო.

სხდომის ბოლოს 2014-17 წ.წ. მოწვევის საკრებულოს მუშაობა შეაჯამა და ადგილობრივ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას, ამ წლების განმავლობაში ურთიერთთანამშრომლობისათვის, მადლობა გადაუხადა თამაზ კუბლაშვილმა, ხოლო მომავალ, მეექვსე მოწვევის, წარმომადგენლობით ორგანოს, წარმატებული საქმიანობა უსურვა.

***ნათია მურუსიძე***

# საკრებულოს მაცნე

## ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროგნოზი


**თავი I**

**ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი**

**მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 8,811.2 | 9,302.9 | 3,872.5 | 5,430.4 | 5,645.0 | 150.0 | 5,495.0 |
| გადასახადები | 1,646.5 | 1,843.6 | 0.0 | 1,843.6 | 1,890.0 | 0.0 | 1,890.0 |
| გრანტები | 6,129.1 | 6,400.3 | 3,872.5 | 2,527.8 | 2,775.0 | 150.0 | 2,625.0 |
| სხვა შემოსავლები | 1,035.6 | 1,059.0 | 0.0 | 1,059.0 | 980.0 | 0.0 | 980.0 |
| ხარჯები | 5,732.8 | 5,942.1 | 992.5 | 4,949.6 | 5,260.3 | 146.0 | 5,114.3 |
| შრომის ანაზღაურება | 1,357.1 | 1,175.9 | 64.2 | 1,111.7 | 1,122.3 | 64.0 | 1,058.3 |
| საქონელი და მომსახურება | 550.8 | 675.2 | 45.3 | 629.9 | 811.0 | 17.0 | 794.0 |
| სუბსიდიები | 2,863.6 | 2,698.0 | 62.0 | 2,636.0 | 2,651.5 | 62.0 | 2,589.5 |
| გრანტები | 153.0 | 0.4 | 0.0 | 0.4 | 0.5 | 0.0 | 0.5 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 375.6 | 319.6 | 3.0 | 316.6 | 320.0 | 3.0 | 317.0 |
| სხვა ხარჯები | 432.7 | 1,073.0 | 818.0 | 255.0 | 355.0 | 0.0 | 355.0 |
| საოპერაციო სალდო | 3,078.4 | 3,360.8 | 2,880.0 | 480.8 | 384.7 | 4.0 | 380.7 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 2,571.2 | 4,271.6 | 3,633.3 | 638.3 | 384.7 | 4.0 | 380.7 |
| ზრდა | 2,695.2 | 4,331.6 | 3,633.3 | 698.3 | 434.7 | 4.0 | 430.7 |
| კლება | 124.0 | 60.0 | 0.0 | 60.0 | 50.0 | 0.0 | 50.0 |
| მთლიანი სალდო | 507.2 | -910.8 | -753.3 | -157.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 288.1 | -134.4 | 111.0 | -245.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ზრდა | 288.1 | 111.0 | 111.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 288.1 | 111.0 | 111.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 0.0 | 245.4 | 0.0 | 245.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | | 245.4 | 0.0 | 245.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების ცვლილება | -219.1 | -368.0 | -187.9 | -180.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 219.1 | 368.0 | 187.9 | 180.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საშინაო | 219.1 | 368.0 | 187.9 | 180.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ბალანსი | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |

**მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | 8,935.2 | 9,362.9 | 3,872.5 | 5,490.4 | 5,695.0 | 150.0 | 5,545.0 |
| შემოსავლები | 8,811.2 | 9,302.9 | 3,872.5 | 5,430.4 | 5,645.0 | 150.0 | 5,495.0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 124.0 | 60.0 | 0.0 | 60.0 | 50.0 | 0.0 | 50.0 |
| ფინანსური აქტივების კლება | 0.0 | 245.4 | 0.0 | 245.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| გადასახდელები | 8,428.0 | 10,273.7 | 4,625.8 | 5,647.9 | 5,695.0 | 150.0 | 5,545.0 |
| ხარჯები | 5,732.8 | 5,942.1 | 992.5 | 4,949.6 | 5,260.3 | 146.0 | 5,114.3 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,695.2 | 4,331.6 | 3,633.3 | 698.3 | 434.7 | 4.0 | 430.7 |
| ფინანსური აქტივების ზრდა | 288.1 | 111.0 | 111.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ნაშთის ცვლილება | 288.1 | -1,337.8 | -941.2 | -396.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

**მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 5645.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 8,811.2 | 9,302.9 | 3,872.5 | 5,430.4 | 5,645.0 | 150.0 | 5,495.0 |
| გადასახადები | 1,646.5 | 1,843.6 | 0.0 | 1,843.6 | 1,890.0 | 0.0 | 1,890.0 |
| გრანტები | 6,129.1 | 6,400.3 | 3,872.5 | 2,527.8 | 2,775.0 | 150.0 | 2,625.0 |
| სხვა შემოსავლები | 1,035.6 | 1,059.0 | 0.0 | 1,059.0 | 980.0 | 0.0 | 980.0 |

**მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1890.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები | 11 | 1,646.5 | 1,843.6 | 0.0 | 1,843.6 | 1,890.0 | 0.0 | 1,890.0 |
| საშემოსავლო გადასახადი | 11111 | 297.5 | 350.0 | 0.0 | 350.0 | 240.0 | 0.0 | 240.0 |
| ქონების გადასახადი | 11311 | 1,349.0 | 1,493.6 | 0.0 | 1,493.6 | 1,650.0 | 0.0 | 1,650.0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113111 | 928.0 | 1,093.6 | 0.0 | 1,093.6 | 1,250.0 | 0.0 | 1,250.0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113113 | 3.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 1131131 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი | 113114 | 12.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფიზიკურ პირებიდან | 1131141 | 6.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი | 113115 | 405.6 | 400.0 | 0.0 | 400.0 | 400.0 | 0.0 | 400.0 |
| იურიდიულ პირებიდან | 1131152 | 397.3 | 400.0 | 0.0 | 400.0 | 400.0 | 0.0 | 400.0 |

**მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 2775,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გრანტები | 13 | 6,129.1 | 6,400.3 | 3,872.5 | 2,527.8 | 2,775.0 | 150.0 | 2,625.0 |
| სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები | 133 | 6,129.1 | 6,400.3 | 3,872.5 | 2,527.8 | 2,775.0 | 150.0 | 2,625.0 |
| მიმდინარე დანიშნულების გრანტები | 1331 | 5,696.0 | 6,400.3 | 3,872.5 | 2,527.8 | 2,775.0 | 150.0 | 2,625.0 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | | 2,727.8 | 2,527.8 | 0.0 | 2,527.8 | 2,625.0 | 0.0 | 2,625.0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | | 142.1 | 150.0 | 150.0 | 0.0 | 150.0 | 150.0 | 0.0 |
| ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | | 2,826.1 | 3,722.5 | 3,722.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კაპიტალური დანიშნულების გრანტები | 1332 | 433.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | | 433.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

**მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 980,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| სხვა შემოსავლები | 14 | 1,035.6 | 1,059.0 | 0.0 | 1,059.0 | 980.0 | 0.0 | 980.0 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 141 | 878.0 | 840.0 | 0.0 | 840.0 | 840.0 | 0.0 | 840.0 |
| პროცენტები | 1411 | 67.7 | 60.0 | 0.0 | 60.0 | 60.0 | 0.0 | 60.0 |
| რენტა | 1415 | 810.3 | 780.0 | 0.0 | 780.0 | 780.0 | 0.0 | 780.0 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 14151 | 808.9 | 780.0 | 0.0 | 780.0 | 780.0 | 0.0 | 780.0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 14154 | 1.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 142 | 25.4 | 86.0 | 0.0 | 86.0 | 40.0 | 0.0 | 40.0 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 1422 | 23.0 | 56.0 | 0.0 | 56.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 14223 | 3.7 | 36.0 | 0.0 | 36.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 142212 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 142214 | 19.3 | 20.0 | 0.0 | 20.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 143 | 101.6 | 100.0 | 0.0 | 100.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 |

**მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5260,3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | ლმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 5,732.8 | 5,942.1 | 992.5 | 4,949.6 | 5,260.3 | 146.0 | 5,114.3 |
| შრომის ანაზღაურება | 1,357.1 | 1,175.9 | 64.2 | 1,111.7 | 1,122.3 | 64.0 | 1,058.3 |
| საქონელი და მომსახურება | 550.8 | 675.2 | 45.3 | 629.9 | 811.0 | 17.0 | 794.0 |
| სუბსიდიები | 2,863.6 | 2,698.0 | 62.0 | 2,636.0 | 2,651.5 | 62.0 | 2,589.5 |
| გრანტები | 153.0 | 0.4 | 0.0 | 0.4 | 0.5 | 0.0 | 0.5 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 375.6 | 0.4 | 3.0 | 316.6 | 0.5 | 3.0 | 317.0 |
| სხვა ხარჯები | 432.7 | 1,073.0 | 818.0 | 255.0 | 375.0 | 0.0 | 375.0 |

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 384,7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 2,571.2 | 4,271.6 | 3,633.3 | 638.3 | 384.7 | 4.0 | 380.7 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,695.2 | 4,331.6 | 3,633.3 | 698.3 | 434.7 | 4.0 | 430.7 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 124.0 | 60.0 | 0.0 | 60.0 | 50.0 | 0.0 | 50.0 |

**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 1,819.8 | 2,055.9 | 189.4 | 1,866.5 | 2,038.5 | 0.0 | 2,038.5 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 1,819.8 | 2,055.9 | 189.4 | 1,866.5 | 2,038.5 | 0.0 | 2,038.5 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1,819.8 | 2,048.3 | 189.4 | 1,858.9 | 2,008.5 | 0.0 | 2,008.5 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0.0 | 7.6 | 0.0 | 7.6 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 702 | თავდაცვა | 89.6 | 85.0 | 85.0 | 0.0 | 85.0 | 85.0 | 0.0 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7031 | პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 1,193.6 | 3,708.6 | 3,144.8 | 563.8 | 580.0 | 0.0 | 580.0 |
| 7045 | ტრანსპორტი | 1,109.2 | 3,178.2 | 2,624.4 | 553.8 | 380.0 | 0.0 | 380.0 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 1,109.2 | 3,178.2 | 2,624.4 | 553.8 | 380.0 | 0.0 | 380.0 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 84.4 | 530.4 | 520.4 | 10.0 | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| 705 | გარემოს დაცვა | 310.4 | 310.5 | 0.0 | 310.5 | 285.0 | 0.0 | 285.0 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 310.4 | 310.5 | 0.0 | 310.5 | 285.0 | 0.0 | 285.0 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 1,001.2 | 1,131.6 | 649.3 | 482.3 | 360.0 | 0.0 | 360.0 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 238.2 | 765.6 | 597.2 | 168.4 | 80.0 | 0.0 | 80.0 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 248.2 | 241.5 | 0.0 | 241.5 | 210.0 | 0.0 | 210.0 |
| 7064 | გარე განათება | 81.7 | 72.4 | 0.0 | 72.4 | 70.0 | 0.0 | 70.0 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 433.1 | 52.1 | 52.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 63.3 | 62.0 | 62.0 | 0.0 | 62.0 | 62.0 | 0.0 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 63.3 | 62.0 | 62.0 | 0.0 | 62.0 | 62.0 | 0.0 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 2,786.4 | 1,388.5 | 179.9 | 1,208.6 | 1,078.0 | 0.0 | 1,078.0 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 2,724.8 | 1,337.0 | 179.9 | 1,157.1 | 1,023.0 | 0.0 | 1,023.0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7082 | მომსა-ხურება კულტ-ურის სფეროში | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7083 | ტელერადიო-მაუწყებ-ლობა და საგამომ-ცემლო საქმიანობა | 39.3 | 31.0 | 0.0 | 31.0 | 32.0 | 0.0 | 32.0 |
| 709 | განათლება | 788.9 | 1,248.0 | 312.4 | 935.6 | 830.0 | 0.0 | 830.0 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 773.9 | 823.0 | 0.0 | 823.0 | 830.0 | 0.0 | 830.0 |
| 710 | სოციალური დაცვა | 374.8 | 342.6 | 3.0 | 339.6 | 376.5 | 3.0 | 373.5 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოცი-ალური დაცვა | 51.0 | 35.0 | 0.0 | 35.0 | 45.0 | 0.0 | 45.0 |
| 7107 | სოცი-ალური გაუც-ხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდე-ბარება კლასიფი-კაციას | 266.1 | 249.6 | 0.0 | 249.6 | 268.5 | 0.0 | 268.5 |
| 7109 | სხვა არა-კლა-სიფი-ცირებული საქმიანობა სოცია-ლური დაცვის სფეროში | 57.7 | 58.0 | 3.0 | 55.0 | 63.0 | 3.0 | 60.0 |
| | სულ | 8,428.0 | 10,332.7 | 4,625.8 | 5,706.9 | 5,695.0 | 150.0 | 5,545.0 |

**მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 0,00 ათ. ლარის ოდენობით

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელ-მწიფო ბიუ-ჯეტის ფონდე-ბიდან გამო-ყოფილი ტრან-სფერები | საკუ-თარი შემ-ოსავ-ლები | | სახელ-მწიფო ბიუ-ჯეტის ფონდე-ბიდან გამო-ყოფილი ტრან-სფერები | საკუ-თარი შემ-ოსავ-ლები |
| საოპერაციო სალდო | 3,078.4 | 3,360.8 | 2,880.0 | 480.8 | 384.7 | 4.0 | 380.7 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 2,571.2 | 4,271.6 | 3,633.3 | 638.3 | 384.7 | 4.0 | 380.7 |
| მთლიანი სალდო | 507.2 | -910.8 | -753.3 | -157.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

**მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,00 ათ. ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელ-მწიფო ბიუ-ჯეტის ფონდე-ბიდან გამო-ყოფილი ტრან-სფერები | საკუ-თარი შემ-ოსავ-ლები | | სახელ-მწიფო ბიუ-ჯეტის ფონდე-ბიდან გამო-ყოფილი ტრან-სფერები | საკუ-თარი შემ-ოსავ-ლები |
| ფინანსური აქტივების ზრდა | 288.1 | 111.0 | 111.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფინანსური აქტივების კლება | 0.0 | 245.4 | 0.0 | 245.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 288.1 | -134.4 | 111.0 | -245.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

**მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 30,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

**თავი III**

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

**მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით.

| ორგ. კოდი | ტყიბულის მუნიცი-პალიტეტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელ-მწიფო ბიუ-ჯეტის ფონდე-ბიდან გამო-ყოფ-ილი ტრან-სფერები | საკუ-თარი შემ-ოსავ-ლები | | სახელ-მწიფო ბიუ-ჯეტის ფონდე-ბიდან გამო-ყოფ-ილი ტრან-სფერები | საკუ-თარი შემ-ოსავ-ლები |
| | ტყიბულის მუნიციპა-ლიტეტი | 8,647.1 | 10,700.7 | 4,813.7 | 5,887.0 | 5,695.0 | 150.0 | 5,545.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 122.0 | 125.0 | 7.0 | 118.0 | 108.0 | 7.0 | 101.0 |
| | ხარჯები | 5,732.8 | 6,001.1 | 992.5 | 5,008.6 | 5,260.3 | 146.0 | 5,114.3 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,357.1 | 1,175.9 | 64.2 | 1,111.7 | 1,122.3 | 64.0 | 1,058.3 |
| | არაფინა-ნსური აქტივების ზრდა | 2,695.2 | 4,331.6 | 3,633.3 | 698.3 | 434.7 | 4.0 | 430.7 |
| | ვალდებუ-ლებების კლება | 219.1 | 368.0 | 187.9 | 180.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 00 | წარმომადგენ-ლობითი და აღმასრუ-ლებელი ორგანოების დაფინანსება | 1,838.8 | 2,060.9 | 189.4 | 1,871.5 | 2,038.5 | 0.0 | 2,038.5 |
| | მომუშავეთა რიცხოვ-ნობა | 114.0 | 118.0 | 0.0 | 118.0 | 101.0 | 0.0 | 101.0 |
| | ხარჯები | 1,776.8 | 1,865.6 | 126.8 | 1,738.8 | 1,807.8 | 0.0 | 1,807.8 |
| | შრომის ანაზღა-ურება | 1,289.1 | 1,111.7 | 0.0 | 1,111.7 | 1,058.3 | 0.0 | 1,058.3 |
| | არაფინან-სური აქტივების ზრდა | 43.0 | 190.3 | 62.6 | 127.7 | 230.7 | 0.0 | 230.7 |
| | ვალდებუ-ლებების კლება | 19.0 | 5.0 | 0.0 | 5.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 01 | ტყიბულის საკრე-ბულო | 385.7 | 366.4 | 0.0 | 366.4 | 421.8 | 0.0 | 421.8 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 17.0 | 21.0 | 0.0 | 21.0 | 15.0 | 0.0 | 15.0 |
| | ხარჯები | 385.7 | 366.4 | 0.0 | 366.4 | 396.8 | 0.0 | 396.8 |
| | შრომის ანაზ-ღაურება | 308.3 | 283.5 | 0.0 | 283.5 | 288.3 | 0.0 | 288.3 |
| | არაფინან-სური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 25.0 | 0.0 | 25.0 |
| 01 02 | ტყიბულის მერია | 1,453.1 | 1,686.9 | 189.4 | 1,497.5 | 1,586.7 | 0.0 | 1,586.7 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 97.0 | 97.0 | 0.0 | 97.0 | 86.0 | 0.0 | 86.0 |
| | ხარჯები | 1,391.1 | 1,491.6 | 126.8 | 1,364.8 | 1,381.0 | 0.0 | 1,381.0 |
| | შრომის ანაზღა-ურება | 980.8 | 828.2 | 0.0 | 828.2 | 770.0 | 0.0 | 770.0 |
| | არაფინან-სური აქტივების ზრდა | 43.0 | 190.3 | 62.6 | 127.7 | 205.7 | 0.0 | 205.7 |
| | ვალდებუ-ლებების კლება | 19.0 | 5.0 | 0.0 | 5.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 03 | სარეზერვო ფონდი | 0.0 | 7.6 | 0.0 | 7.6 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 7.6 | 0.0 | 7.6 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| 01 04 | მაჟორიტარი დეპუტატის მომსა-ხურების ხარჯი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადო-ებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 89.6 | 85.0 | 85.0 | 0.0 | 85.0 | 85.0 | 0.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 8.0 | 7.0 | 7.0 | 0.0 | 7.0 | 7.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 81.2 | 79.2 | 79.2 | 0.0 | 81.0 | 81.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღა-ურება | 68.0 | 64.2 | 64.2 | 0.0 | 64.0 | 64.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 8.4 | 5.8 | 5.8 | 0.0 | 4.0 | 4.0 | 0.0 |
| | ვალდებუ-ლებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 01 | საგანგებო სიტუა-ციების მართვის სამსახური | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღა-ურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 03 | შინაგან საქმეთა სამინის-ტროს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 02 | ქვეყნის თავდაცვის-უნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 89.6 | 85.0 | 85.0 | 0.0 | 85.0 | 85.0 | 0.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 8.0 | 7.0 | 7.0 | 0.0 | 7.0 | 7.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 81.2 | 79.2 | 79.2 | 0.0 | 81.0 | 81.0 | 0.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 68.0 | 64.2 | 64.2 | 0.0 | 64.0 | 64.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 8.4 | 5.8 | 5.8 | 0.0 | 4.0 | 4.0 | 0.0 |
| | ვალდებუ-ლებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 00 | ინფრასტრუქ-ტურის მშენებლობა, რეაბილი-ტაცია და ექსპლო-ატაცია | 2,705.3 | 5,483.8 | 3,982.0 | 1,501.8 | 1,225.0 | 0.0 | 1,225.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 1,244.8 | 1,628.2 | 635.5 | 992.7 | 1,025.0 | 0.0 | 1,025.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,260.4 | 3,522.5 | 3,158.6 | 363.9 | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| | ვალდებუ-ლებების კლება | 200.1 | 333.1 | 187.9 | 145.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 01 | საგზაო ინფრასტრუქ-ტურის მშენებ-ლობა რეაბი-ლიტაცია და მოვლა შენახვა | 1,245.3 | 3,383.3 | 2,751.8 | 631.5 | 380.0 | 0.0 | 380.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 203.8 | 235.6 | 30.3 | 205.3 | 180.0 | 0.0 | 180.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 905.4 | 2,942.6 | 2,594.1 | 348.5 | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| | ვალდებუ-ლებების კლება | 136.1 | 205.1 | 127.4 | 77.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 01 01 | საქალაქო ტრანსპორ-ტის ხელშეწყობა | 194.1 | 205.3 | 0.0 | 205.3 | 180.0 | 0.0 | 180.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 194.1 | 205.3 | 0.0 | 205.3 | 180.0 | 0.0 | 180.0 |
| 03 01 02 | გზის მშენებლობის, რეკონსტ-რუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯები | 1,051.2 | 3,178.0 | 2,751.8 | 426.2 | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| | ხარჯები | 9.7 | 30.3 | 30.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 905.4 | 2,942.6 | 2,594.1 | 348.5 | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| | ვალდებუ-ლებების კლება | 136.1 | 205.1 | 127.4 | 77.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 | კომუნა-ლური ინფრასტ-რუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 878.5 | 1,457.7 | 601.3 | 856.4 | 645.0 | 0.0 | 645.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 867.9 | 1,384.6 | 597.2 | 787.4 | 645.0 | 0.0 | 645.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 10.6 | 5.4 | 0.0 | 5.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებუ-ლებების კლება | 0.0 | 67.7 | 4.1 | 63.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 01 | დასუფ-თავების ღონისძიებები | 310.4 | 310.5 | 0.0 | 310.5 | 285.0 | 0.0 | 285.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 310.4 | 310.5 | 0.0 | 310.5 | 285.0 | 0.0 | 285.0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03 02 02 | ბინათ-მშენებლობის მოვლა-შენახვა | 238.2 | 833.3 | 601.3 | 232.0 | 80.0 | 0.0 | 80.0 |
| | ხარჯები | 238.2 | 765.6 | 597.2 | 168.4 | 80.0 | 0.0 | 80.0 |
| | ვალდებუ-ლებების კლება | 0.0 | 67.7 | 4.1 | 63.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 03 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 248.2 | 241.5 | 0.0 | 241.5 | 210.0 | 0.0 | 210.0 |
| | მომუშა-ვეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 248.2 | 241.5 | 0.0 | 241.5 | 210.0 | 0.0 | 210.0 |
| 03 02 04 | წყალმო-მარაგების სუბსიდირება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინან-სური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 05 | გარე განათება | 81.7 | 72.4 | 0.0 | 72.4 | 70.0 | 0.0 | 70.0 |
| | ხარჯები | 71.1 | 67.0 | 0.0 | 67.0 | 70.0 | 0.0 | 70.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 10.6 | 5.4 | 0.0 | 5.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 03 | ინფრასტ-რუქტურის რეაბილიტაცია | 84.4 | 534.5 | 520.6 | 13.9 | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| | ხარჯები | 11.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| | არაფინან-სური აქტივების ზრდა | 72.6 | 530.4 | 520.4 | 10.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 04 | სოფლის მხარდა-ჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორ-ციელებელი პროექტები | 497.1 | 108.3 | 108.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 161.3 | 8.0 | 8.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინა-სური აქტივების ზრდა | 271.8 | 44.1 | 44.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებუ-ლებების კლება | 64.0 | 56.2 | 56.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 00 | განათლება | 788.9 | 1,248.0 | 312.4 | 935.6 | 830.0 | 0.0 | 830.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 773.9 | 882.0 | 0.0 | 882.0 | 830.0 | 0.0 | 830.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 15.0 | 366.0 | 312.4 | 53.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 01 | სკოლამდელი დაფინან-სების ხელშეწყობა | 773.9 | 823.0 | 0.0 | 823.0 | 830.0 | 0.0 | 830.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 773.9 | 823.0 | 0.0 | 823.0 | 830.0 | 0.0 | 830.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 03 | სკოლამ-დელი ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია | 15.0 | 425.0 | 312.4 | 112.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 15.0 | 366.0 | 312.4 | 53.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 2,786.4 | 1,418.4 | 179.9 | 1,238.5 | 1,078.0 | 0.0 | 1,078.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 1,418.0 | 1,141.5 | 86.0 | 1,055.5 | 1,078.0 | 0.0 | 1,078.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,368.4 | 247.0 | 93.9 | 153.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 01 | სპორტის განვი-თარების ხელშეწყობა | 2,087.6 | 828.2 | 179.9 | 648.3 | 477.0 | 0.0 | 477.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 719.2 | 551.3 | 86.0 | 465.3 | 477.0 | 0.0 | 477.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,368.4 | 247.0 | 93.9 | 153.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 01 01 | ა(ა)იპ „სპორტული ცენტრი" | 140.2 | 125.0 | 0.0 | 125.0 | 126.0 | 0.0 | 126.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 140.2 | 125.0 | 0.0 | 125.0 | 126.0 | 0.0 | 126.0 |
| 05 01 02 | ა(ა)იპ „სპორტული კომპლექსი" | 159.7 | 186.0 | 0.0 | 186.0 | 204.0 | 0.0 | 204.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 159.7 | 186.0 | 0.0 | 186.0 | 204.0 | 0.0 | 204.0 |
| 05 01 03 | შპს საფეხბურ-თო კლუბი „მეშახტე" | 240.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 240.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 01 04 | ჭადრაკის ხელშეწ-ყობის პროგრამა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 01 05 | სპორტისა და დასვენების ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია | 1,376.7 | 369.2 | 179.9 | 189.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 8.3 | 92.3 | 86.0 | 6.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,368.4 | 247.0 | 93.9 | 153.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 01 06 | ა.ა.ი.პ. «საფეხბურთო სკოლა' | 57.8 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 51.0 | 0.0 | 51.0 |
| | ხარჯები | 57.8 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 51.0 | 0.0 | 51.0 |
| 05 01 07 | ა.ა.ი.პ. «რაგბის სპორტული სკოლა' | 59.6 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 53.0 | 0.0 | 53.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 59.6 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 53.0 | 0.0 | 53.0 |
| 05 01 08 | ჭადრაკის სკოლა | 53.6 | 48.0 | 0.0 | 48.0 | 43.0 | 0.0 | 43.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 53.6 | 48.0 | 0.0 | 48.0 | 43.0 | 0.0 | 43.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 02 | კულტურა | 637.2 | 538.7 | 0.0 | 538.7 | 546.0 | 0.0 | 546.0 |
| | ხარჯები | 637.2 | 538.7 | 0.0 | 538.7 | 546.0 | 0.0 | 546.0 |
| 05 02 01 | ა.ა.ი.პ «კულ-ტურის ობიექტების გაერთიანება» | 205.8 | 173.0 | 0.0 | 173.0 | 174.0 | 0.0 | 174.0 |
| | მომუ-შავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 205.8 | 173.0 | 0.0 | 173.0 | 174.0 | 0.0 | 174.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 02 02 | ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზ-რდობის სასახლე» | 97.9 | 83.0 | 0.0 | 83.0 | 84.0 | 0.0 | 84.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვ-ნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 97.9 | 83.0 | 0.0 | 83.0 | 84.0 | 0.0 | 84.0 |
| | არაფინან-სური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 02 03 | ა(ა)იპ „ხელოვ-ნების სკოლა' | 137.5 | 117.7 | 0.0 | 117.7 | 118.0 | 0.0 | 118.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვ-ნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 137.5 | 117.7 | 0.0 | 117.7 | 118.0 | 0.0 | 118.0 |
| 05 02 04 | ა(ა)იპ „სამხატვრო სკოლა» | 52.4 | 45.0 | 0.0 | 45.0 | 47.0 | 0.0 | 47.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვ-ნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 52.4 | 45.0 | 0.0 | 45.0 | 47.0 | 0.0 | 47.0 |
| | არაფინან-სური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 02 05 | ა(ა)იპ „ტყიბულის მუნიციპა-ლიტეტის თეატრი» | 143.6 | 120.0 | 0.0 | 120.0 | 123.0 | 0.0 | 123.0 |
| | ხარჯები | 143.6 | 120.0 | 0.0 | 120.0 | 123.0 | 0.0 | 123.0 |
| 05 04 | „ტყიბულ-ინფორმის" სუბსიდირება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვ-ნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 03 | ა.ა.ი.პ. «საინფორ-მაციო ცენტრი» | 39.3 | 31.0 | 0.0 | 31.0 | 32.0 | 0.0 | 32.0 |
| | ხარჯები | 39.3 | 31.0 | 0.0 | 31.0 | 32.0 | 0.0 | 32.0 |
| 05 05 | ა.ა.ი.პ. «ტურიზმის განვი-თარების ცენტრი» | 22.3 | 20.5 | 0.0 | 20.5 | 23.0 | 0.0 | 23.0 |
| | ხარჯები | 22.3 | 20.5 | 0.0 | 20.5 | 23.0 | 0.0 | 23.0 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთე-ლობისა დაცვა და სოცი-ალური უზრუნველ-ყოფა | 438.1 | 404.6 | 65.0 | 339.6 | 438.5 | 65.0 | 373.5 |
| | მომუშავეთა რიცხოვ-ნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 438.1 | 404.6 | 65.0 | 339.6 | 438.5 | 65.0 | 373.5 |
| | ვალდებუ-ლებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 01 | ჯანდაცვის პროგ-რამები | 63.3 | 62.0 | 62.0 | 0.0 | 62.0 | 62.0 | 0.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 63.3 | 62.0 | 62.0 | 0.0 | 62.0 | 62.0 | 0.0 |
| 06 01 01 | საზოგადო-ებრივი ჯანმრთე-ლობის დაცვა | 63.3 | 62.0 | 62.0 | 0.0 | 62.0 | 62.0 | 0.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვ-ნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 63.3 | 62.0 | 62.0 | 0.0 | 62.0 | 62.0 | 0.0 |
| 06 02 | სოცი-ალური პროგრამები | 374.8 | 342.6 | 3.0 | 339.6 | 376.5 | 3.0 | 373.5 |
| | ხარჯები | 374.8 | 342.6 | 3.0 | 339.6 | 376.5 | 3.0 | 373.5 |
| | ვალდებუ-ლებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 02 01 | ინდივიადუ-ალური დახმარების პროგრამა | 194.5 | 172.4 | 0.0 | 172.4 | 170.0 | 0.0 | 170.0 |
| | ხარჯები | 194.5 | 172.4 | 0.0 | 172.4 | 170.0 | 0.0 | 170.0 |
| | ვალდებუ-ლებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 02 02 | ახალშობილთა დახმარება | 51.0 | 35.0 | 0.0 | 35.0 | 45.0 | 0.0 | 45.0 |
| | ხარჯები | 51.0 | 35.0 | 0.0 | 35.0 | 45.0 | 0.0 | 45.0 |
| 06 02 03 | სარიტუალო ხარჯები | 2.0 | 3.0 | 3.0 | 0.0 | 3.0 | 3.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 2.0 | 3.0 | 3.0 | 0.0 | 3.0 | 3.0 | 0.0 |
| 06 02 04 | უმწეოთა კვება | 58.0 | 62.7 | 0.0 | 62.7 | 80.0 | 0.0 | 80.0 |
| | ხარჯები | 58.0 | 62.7 | 0.0 | 62.7 | 80.0 | 0.0 | 80.0 |
| 06 02 05 | ხანძრით, ბუნებრივი კატასტ-როფით და სხვა მიზეზით დაზარა-ლებულთა დახმარების პროგრამა | 55.7 | 55.0 | 0.0 | 55.0 | 60.0 | 0.0 | 60.0 |
| | ხარჯები | 55.7 | 55.0 | 0.0 | 55.0 | 60.0 | 0.0 | 60.0 |
| 06 02 06 | სამამულო ომის ვეტერანებისა და საქარ-თველოს ერთიანო-ბისათვის დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარება | 7.1 | 8.0 | 0.0 | 8.0 | 12.0 | 0.0 | 12.0 |
| | ხარჯები | 7.1 | 8.0 | 0.0 | 8.0 | 12.0 | 0.0 | 12.0 |
| 06 03 | ინტეგრი-რებულ საქმი-ანობათა დღის ცენტრი | 6.5 | 6.5 | 0.0 | 6.5 | 6.5 | 0.0 | 6.5 |
| | ხარჯები | 6.5 | 6.5 | 0.0 | 6.5 | 6.5 | 0.0 | 6.5 |

# ტყიბულში მეშახტეთა შრომის დიდების მემორიალი გაიხსნა

ქვანახშირის მრეწველობის დარგში მოღვაწე და გარდაცვლილ ადამიანთა ხსოვნის პატივსაცემად და ამ პროფესიისადმი მოწიწებისა და სიყვარულის ნიშნად ქალაქის შემოსასვლელში მეშახტეთა შრომის დიდების მემორიალი გაიხსნა.



6 მ. სიმაღლის ობიექტი კვარცხლბეკისა და მასზე აღმართული მეშახტის სანათის – ლამპარის ფორმის კონსტრუქციისაგან შედგება, რომელიც სინათლესა და სიცოცხლის გაგრძელებასთან, მომავლის იმედთან ასოცირდება. კვარცხლბეკზე კი ამ პროფესიასთან დაკავშირებული სიმბოლოებია გამოხატული, როგორებიცაა გვირაბები და ქვანახშირით დატვირთული ვაგონები, ხოლო ფრაზა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენიდან“ კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ მართლაც „შრომაა უდიდესი სიქველე ამქვეყნად...“

მეშახტეთა ქალაქის სიმბოლოდ აღმართული მემორიალის ესკიზი ტყიბულელი აწ. გარდაცვლილი მხატვარ – მოქანდაკის, **ამირან ხონელიძისა** და სამხატვრო სკოლის დირექტორის, ასევე მხატვარ-მოქანდაკის, **მირზა ჭელიშვილის** სახელებს უკავშირდება. პროექტის ავტორი კი **ამირან ქოჩიაშვილია**, ხოლო სამუშაოები, შპს „ექტო ტექნიკურმა კომპანიამ“ აწარმოა.

მეშახტეთა შრომის დიდების მემორიალი იმერეთის მხარის ვიცე-გუბერნატორმა, იოსებ ხახალეიშვილმა, მუნიციპალიტეტის გამგებელმა, რობიზონ გვენეტაძემ და „საქნახშირის" გენერალურმა დირექტორმა, ჯამბულ ჯაყელმა, სასცენო ეფექტის ფონზე გახსნეს.

სწორედ რომ საუკუნენახევრის წინ აღმოჩენილმა წიაღისეულმა მისცა დასაბამი ტყიბულის დაარსებას და ის რესპუბლიკური მნიშვნელობის ძლიერ სამრეწველო ქალაქად გადააქცია. ჩვენი თანამოქალაქეები მიწის ზედაპირიდან 400 მეტრ სიღრმეში ეწევიან, თავდაუზოგავ, გმირულ შრომას „შავი ოქროს“ – ქვანახშირის მოსაპოვებლად.

გახსნის ღონისძიებაზე, შეკრებილი საზოგადოების წინაშე, სიტყვით გამოვიდნენ: მუნიციპალიტეტის გამგებელი, **რობიზონ გვენეტაძე**, იმერეთის მხარის ვიცე – გუბერნატორი, **იოსებ ხახალეიშვილი** და დონბასელი ვეტერანი მეშახტე, **სოსო ქიმუცაძე**. მათ ისაუბრეს მემორიალისა და მეშახტეთა პროფესიის მნიშვნელობაზე. გამგებელმა ასევე, მადლობა გადაუხადა სტუმრებსა და პროექტის განხორციელებაში ჩართულ ყველა სტრუქტურულ ერთეულს, მათ ხელმძღვანელობასა და სხვადასხვა ორგანიზაციებს.

ღონისძიება გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით მოეწყო, რომელიც ტყიბულელ დეკლამატორს, **მაია ბრეგაძეს,** მიჰყავდა. მასში ასევე, ჩართულნი იყვნენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები. გახსნის ცერემონიალის მოწყობა მუნიციპალიტეტის თეატრმა უზრუნველყო. მეშახტის ფორმებსა და ლამაზ კოსტიუმებში საგანგებოდ გამოწყობილმა საბავშვო ბაღების აღსაზრდელებმა ფერადი ბუშტებითა და მხიარულებით განსაკუთრებული ემოციები მოიტანეს და მომავლის იმედით გაჯერებული განწყობა შექმნეს დამსწრე საზოგადოებაში.



***მარი ბაბუხადია***





ქრისტინე ბეროძესა და მამუკა აბულაძეს!

სოფო პეტრიაშვილსა და ლევან კობერიძეს!

გილოცავთ ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენას, ქორწინებას!

შვილთა სხმა, ბედნიერება და სიყვარული არ მოჰკლებოდეს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახებს!

გაზეთ „ტყიბულის“ რედაქცია

# ქალაქი კვლავ ასახელეს



5 ნოემბერს, ქალაქ თბილისში გამართულ საქართველოს თასის პირველობაზე კუნგ ფუ-ში ტყიბულის სპორტული ცენტრის „ოლეგ ფანჩულიძის კუნგ-ფუს სკოლის“ აღსაზრდელებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს. მათ მოიპოვეს ექვსი – I და ხუთი – II ადგილები. საერთო ჩათვლაში მუნიციპალიტეტის ნაკრებმა გუნდური I ადგილი აიღო. შეჯიბრებაში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 15 კლუბი და ასევე, აზერბაიჯანის ნაკრები მონაწილეობდა.

ჩემპიონები გახდნენ: **ნიკა ჩაფიძე, ლუკა ბრეგაძე, საბა გელაძე, ნიკა ბარბაქაძე, საბა აბესაძე, ნიკა ბუბაშვილი,** ხოლო პრიზიორები – **გიორგი ჭიჭიკოშვილი, ლუკა ბარბაქაძე, ბაჩუკი დიხამინჯია, ლევან ცნობილაძე, ლუკა ქაშიბაძე**. გუნდი მოამზადეს მწვრთნელებმა: ოლეგ ფანჩულიძემ და ლაშა ცქიფურიშვილმა.

***ნათია მურუსიძე***

# №6 და ორპირის სკოლებმა გაიმარჯვეს



ტყიბულის სპორტის სასახლეში, საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის 2018 წლის მუნიციპალური თამაშების ფარგლებში, მაგიდის ჩოგბურთში შეჯიბრი გაიმართა. მასში ჩართულნი იყვნენ ქალაქის №1, №4, №6, №7 და ასევე, ორპირის, ცუცხვათის, კურსებისა და გელათის საჯარო სკოლების 2002-03-04 წ.წ. დაბადებული 50-მდე მოსწავლისაგან დაკომპლექტებული 12 გუნდი. მათგან 5-გოგონების, ხოლო 7-ვაჟთა კატეგორიაში. თითოეული მოასპარეზე ჯგუფი ოთხი მოზარდითა და ერთი მწვრთნელ-მასწავლებლით იყო წარმოდგენილი. შეჯიბრი ინდივიდუალურ და წყვილთა შორის შეხვედრებს მოიცავდა. აქტივობას მსაჯობას სპორტული ცენტრის მწვრთნელები უწევდნენ.

ფინალში ერთმანეთს ვაჟების კატეგორიაში №6 და №1, ხოლო გოგონებში ორპირისა და ცუცხვათის სკოლების მოსწავლეები დაუპირისპირდნენ, რომელშიც გამარჯვებულები №6 და ორპირის სკოლების გუნდები გამოვლინდნენ.



# ლევან დოხნაძის გამოსათხოვარი



რა უცნაურია ცხოვრება... იმიერში გადასახლებულად უნდა მოგიხსენიოთ და დაგემშვიდობოთ... შენი უცნაური და მოულოდნელი წასვლის ტკივილი არასდროს განელდება, ან კი როგორ, როცა ყოველი წუთი, წამი შენთან გვაკავშირებს... დიახ, სამწუხარო რეალობას ვერ ვაჩერებთ და წარსულში ვსაუბრობთ შენზე, ლევან, არაჩვეულებრივო და საუკეთესო მეგობარო. ვსაუბრობთ კაცზე, რომელიც მართლაც დააკლდა ქალაქს, კაცზე, სიკეთეზე, კეთილშობილებაზე, სათნოებაზე, სულიერებაზე, სისადავეზე, გულისხმიერებაზე, კაცზე, რომელსაც ჰქონდა ძალიან დიდი გული და იცოდა უზადო სიყვარული...

გემშვიდობებით და იმედიც კვდება, იწყება სიცარიელე, ტკივილი და გაუსაძლისი მონატრება... მონატრება მეგობრისა, რომელსაც ჰქონდა დიდი გული!....

***ნინო ძოწენიძე***
***(მეგობართა სახელით)***

* * *

**გაზეთ „ტყიბულის“ რედაქცია თანაუგრძნობს იუზა და ციალა დოხნაძეებს, ნატო კეჭაყმაძეს, შვილისა და მეუღლის, ლევან დოხნაძის გარდაცვალების გამო.**

გამომცემელი:
ა.ა.ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი“

რედაქტორი:
ნანა რაზმაძე
სარედაქციო კოლეგია:
ნათია მურუსიძე, მარი ბაბუხადია

გამოყენებულია ფოტოები:
ლევან ცქიფურიშვილის,
ლევან ბრეგაძის

ქ. ტყიბული,
ჯაჩლო ლომაძის მოედანი #3
☎(599) 50-53-75;
E-mail:sainformacio123@gmail.com